დანართი 2

დამტკიცებულია:

კობა მახათაძე

შპს უდაფრთხოების აკადემიის

სასწავლო ცენტრის დირექტორი

ბრძანებან 123 19/06/ 2024 წ.

შპს „უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი“-ს კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. აღნიშნული დებულება არეგულირებს პროფესულ სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის გავლასთან დაკავშირებულ საკითხებს.

2. პროფესულ სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკა საგანმანათლებლო პროგრამის განუყოფელი ნაწილია, განისაზღვრება და მტკიცდება მასთან ერთად.

3. სასწავლო გეგმიდან გამომდინარე, საწარმოო პრაქტიკის ხანგრძლივობა განისაზღვრება შესაბამისი მოდულით. კოლეჯს პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული აქვს მემორანდუმები და ხელშეკრულებები ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

4. პროფესიული სტუდენტის საწარმოო პრაქტიკისას მოსაპოვებელი კრედიტების რაოდენობა მითითებულია სასწავლო გეგმებში პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით;

5. პროფესული სტუდენტი ვალდებულია აწარმოოს საწარმოო პრაქტიკის სრულფასოვანი აღრიცხვა.

მუხლი 2. პრაქტიკის მიზნები და ამოცანები

1. საწარმოო პრაქტიკის მიზანს წარმოადგენს:

ა) მისცეს შესაძლებლობა პროფესულ სტუდენტს რეალურ გარმოში გამოსცადოს სასწავლო პროცესში შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა და უნარები), კიდევ უფრო დახვეწოს და განავითაროს ისინი;

ბ) დააახლოვოს სტუდენტი თავისი სპეციალობის რეალურ გარემოსთან,

გ) პროფესიულ სტუდენტს დაანახოს კავშირები სასწავლო გარემოსა და პრაქტიკას შორის. თეორიული კომპონენტისა რეალურ სამყაროსთან/პრაქტიკასთან;

დ) პროფესულმა სტუდენტმა შეძლოს სასწავლო პროცესში განვითარებული კომპეტენციების პრაქტიკაში გამოყენება, ახალი კომპეტენციებისა და სპეციფიკური უნარ– ჩვევების გამომუშავება;

ე) ხელი შეუწყოს პროფესული სტუდენტებისა და დამსაქმებელთა ურთიერთობას, პრაქტიკანტთა შემდგომში შრომითი მოწყობის ხელშეწყობის მიზნით.

2. საწარმოო პრაქტიკის ამოცანები განსაზღვრულია კონკრეტული მოდულით.

3. საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი ახორციელებს პრაქტიკის პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას.

მუხლი 3. საწარმოო პრაქტიკის ეტაპები

1. საწარმოო პრაქტიკის პროცესი ითვალისწინებს შემდეგ ეტაპებს: ა)

მოსამზადებელი შეხვედრა;

ბ) პროფესიული სტუდენტის მიერ პრაქტიკის ხელმძღვანელის პრაქტიკის განხორციელებისა და/ან ჩასატარებელი შემოქმედებითი ღონისძიების გეგმის შედგენა;

გ) საწარმოო პრაქტიკის ადგილის გაცნობა;

დ) სამუშაო პროცესში ჩართვა და ყოველდღიური ჩანაწერების – დღიურის წარმოება

ე) პროფესიული სტუდენტის კონსულტირება საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ;

ვ) საწარმოო პრაქტიკის შუალედური მიმოხილვა/შეფასება საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ;

ზ) საწარმოო პრაქტიკის ანგარიშის მომზადება; თ)

საწარმოო პრაქტიკის საბოლოო შეფასება.

მუხლი 4. კოლეჯში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი;

1. კოლეჯი ვალდებულია სასწავლო პრაქტიკის განხორციელების პროცესში უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტი უსაფრთხო სასწავლო გარემოთი.

2. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია კოლეჯში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას გაუფრთხილდეს კოლეჯის მატერიალურ რესურსს.

3. კოლეჯში სასწავლო პროცესის უსაფრთხოდ წარმართვაზე კონტროლს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთან ერთად.